სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის
„05. 12“2011წ.
ბრძანება №120/01-01
დანართი 1

1. **კონკურსის მიზანი:**
   ა) კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ზაარლანდის უნივერსიტეტის მიერ 2011-2012 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისათვის გამოყოფილი სტიპენდიების მოპოვება.

2. **კომისიის შემადგენლობა:**
   ა) კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავჯდომარე და კომისიის წევრები.

3. **კანდიდატის შეფასება:**
   ა) კანდიდატის შეფასება ხორციელდება კომისიის მიერ გათვალისწინებული მოთხოვნებით (იხილეთ დანართი 2).

4. **კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი:**
   ა) წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და კანდიდატებთან გასაუბრების შემდეგ კომისია გამოიტანს გადაწყვეტილებას.
   ბ) გადაწყვეტილების მიღებისას კომისია ხელმძღვანელობს კანდიდატის შეფასების კრიტერიუმების მონაცემთა საფუძველზე.

გერმანულენოვანი გაცვლითი პროგრამები თსუ ბაკალავრიატის და მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის

კანდიდატების შერჩევა 2011–2012 სასწავლო წლისთვის

<u>შეფასების კრიტერიუმები</u>

აპლიკანტის შეფასების კომპონენტები:

მოტივაცია	10 ქულა
ზეპირი პრეზენტაცია/გერმანული ენის ცოდნა	10 ქულა
აკადემიური მოსწრება	10 ქულა

ქულების განაწილება ზეპირი პრეზენტაციისთვის/მოტივაციისთვის/ აკადემიური მოსწრებისთვის:

10 ქულა	ბრწყინვალე
9 ქულა	ძალიან კარგი
8 ქულა	კარგი
7 ქულა	დამაკმაყოფილებელი
6 ქულა	საკმარისი
5 ქულა და ნაკლები	არადამაკმაყოფილებელი

თუ აპლიკანტმა შეფასების ერთ–ერთ კომპონენტში მიიღო არადამაკმაყოფილებელი შეფასების შესაბამისი ქულა, მისი კანდიდატურა იხსნება განხილვიდან.

გამარჯვებული და სარეზერვო კანდიდატების გამოვლენა მოხდება რანჟირების მეთოდით.